| 6.1.3. | ბამპერები, გვერდითი და უკანა დამცავი მოწყობილობები. | ვიზუალური შემოწმება. | (ა) | გატეხილია ან გაბზარულია;<br>არ არის წარმოდგენილი | X | | |
| | | | (ბ) | $N_2$, $N_3$, $O_3$ და $O_4$ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებზე (უნაგირა საწევარის გარდა) არ არის დაყენებული უკანა ან/და გვერდითი დამცავი მოწყობილობები (რაც გათვალისწინებულია ქარხანა დამამზადებლის მიერ). | | X | |
| 6.1.4. | სათადარიგო თვალის სამაგრი მოწყობილობა (არსებობის შემთხვევაში) | | | სათადარიგო თვალი არ არის საიმედოდ დამაგრებული სამაგრ მოწყობილობაზე. | X | | |
| 6.1.5. | ტრანსმისია. | ვიზუალური შემოწმება. | | ტრანსმისიის შემადგენელი დეტალები და კომპონენტები დაზიანებულია ან არ არის წარმოდგენილი. | | X | |
| **6.2.** | **ძარა და კაბინა.** | | | | | | |
| 6.2.1. | დამაგრება. | ვიზუალური შემოწმების განხორციელება ორმოზე ან ამწეზე. | (ა) | ძარა ან კაბინა არასაიმედოა. | | X | |
| | | | (ბ) | მზიდი ნაწილების მიმაგრების ადგილების გადაჭარბებული კოროზია. | X | | |
| 6.2.2. | კარები და კარის საკეტები. | ვიზუალური შემოწმება. | | კარი სათანადოდ არ იღება ან არ იკეტება. | X | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6.2.3. | იატაკი. | ვიზუალური შემოწმების განხორციელება ორმოზე ან ამწეზე. | | იატაკი არასაიმედო მდგომარეობაშია ან ძალიან გაცვეთილია. | X | | |
| 6.2.4. | მძღოლის სავარძელი. | ვიზუალური შემოწმება. | | დეფექტური სტრუქტურის მქონე სავარძელი;<br>მოშვებული<br>სავარძელი. | | X | |
| 7. სხვა მოწყობილობები | | | | | | | |
| 7.1. უსაფრთხოების ღვედები/საკეტები და დამჭერი სისტემები (გარდა იმ სატრანსპორტო საშუალებისა, რომლის კონსტრუქცია არ ითვალისწინებს შესაბამის კომპონენტს). | | | | | | | |
| 7.1.1. | უსაფრთხოების ღვედების/საკეტების მდგომარეობა. | ვიზუალური შემოწმება და შემოწმება მუშა მდგომარეობაში. | | უსაფრთხოების ღვედი ან საკეტი არ ფუნქციონირებს გამართულად. | | X | |
| 7.1.2. | უსაფრთხოების ბალიში (აირბეგი). | ვიზუალური შემოწმება. | | სისტემა მიუთითებს გაუმართაობას სატრანსპორტო საშუალების ელექტრონული ინტერფეისის მეშვეობით. | | X | |
| 7.1.3. | დამატებითი შეკავების სისტემა (SRS -Supplementary Restraint System). | ვიზუალური შემოწმება. | | SRS MIL მიუთითებს სისტემის ნებისმიერ გაუმართაობაზე. | | X | |
| 7.2. | ცეცხლსაქრობი. | ვიზუალური შემოწმება. | | არ აქვს ან არ შეესაბამება მოთხოვნებს. [1] | | X | |
| 7.3. | გამაფრთხილებელი სამკუთხედი. | ვიზუალური შემოწმება. | | არ აქვს ან არ შეესაბამება მოთხოვნებს. [1] | | X | |
| 7.4. | პირველადი დახმარების სამედიცინო სააფთიაქო ყუთი. | ვიზუალური შემოწმება. | | არ აქვს, არასრულად არის დაკომპლექტებული ან არ შეესაბამება მოთხოვნებს. [1] | | X | |
| 7.5. | ხმოვანი სასიგნალე მოწყობილობა. | ვიზუალური შემოწმება და შემოწმება მუშა მდგომარეობაში | | არ მუშაობს გამართულად. | X | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7.6. | მდგრადობის ელექტრონული კონტროლი (ESC – Electronic Stability Control), დამაგრების/საჭიროების შემთხვევაში. | ვიზუალური შემოწმება და/ან ელექტრონული ინტერფეისის გამოყენებით. | | სისტემა უჩვენებს გაუმართაობას სატრანსპორტო საშუალების ელექტრონული ინტერფეისის მეშვეობით. | | X | |
| 7.7. | სატრანსპორტო საშუალების სატვირთო განყოფილების კარების საკეტები. | ვიზუალური შემოწმება. | | სატრანსპორტო საშუალების კარების საკეტი არ მუშაობს. | | X | |
| 7.8. | სატვირთო პლატფორმის ბორტის ჩამრაზი. | ვიზუალური შემოწმება. | | სატვირთო პლატფორმის ბორტის ჩამრაზი გაუმართავია. | | X | |
| 7.9. | ცისტერნების ჩასასხმელის ჩამრაზი. | ვიზუალური შემოწმება. | | ცისტერნების ჩასასხმელის ჩამრაზი გაუმართავია. | | X | |
| **8. უარყოფითი ზემოქმედება.** | | | | | | | |
| **8.2. გამონაბოლქვის სისტემა.** | | | | | | | |
| **8.2.1. ბენზინის/აირის ძრავის გამონაბოლქვი.** | | | | | | | |
| 8.2.1.1. | გამონაბოლქვის სისტემის მართვის მოწყობილობა. | ვიზუალური შემოწმება. | | გამონაბოლქვის მართვის მოწყობილობა არ არის წარმოდგენილი ან დაზიანებულია. | | X | |
| 8.2.1.2. | ბენზინის ძრავის გამონაბოლქვი. | სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის გაანგარიშება ხდება გამონაბოლქვი აირების ანალიზატორის გამოყენებით. | | აირების გამონაბოლქვი აღემატება დამამზადებლის მიერ წარმოდგენილ კონკრეტულ დონეებს ან, თუ აღნიშნული ინფორმაცია არ იქნება ხელმისაწვდომი, CO-ს გამონაბოლქვი აღემატება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის N510 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ მონაცემებს. | | X | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.2.1.3. | მხოლოდ აირზე (CNG/LPG/LNG) მომუშავე სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვი. | სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის გაანგარიშება ხდება გამონაბოლქვი აირების ანალიზატორის გამოყენებით. | | CO-ს გამონაბოლქვი აღემატება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის N510 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის „დ.ა.გ.“ ან „დ.ბ.გ.ა“ქვეპუნქტში მითითებულ ზღვრულ მნიშვნელობებს. | | X | |
| 8.2.1.4. | აირისებრი გამონაბოლქვი. | ვიზუალური შემოწმება.<br><br>გამონაბოლქვი აირების კვამლიანობა იზომება<br><br>თავისუფალი აჩქარების ფაზაში 5 წამის განმავლობაში და შემდგომ აქსელერაციით სულ მცირე 2500 ბრ/წთ-მდე არანაკლებ 5 წამის განმავლობაში ან ძრავას მაქსიმალურ ბრუნთა რიცხვის ნახევრამდე. | (ა) | ხილული მოჭარბებული გამონაბოლქვი აირები:<br><br>კვამლის შეფერილობა – შავი ან ნაცრისფერი; კვამლის შეფერილობა – ლურჯი; | | X | |
| **8.2.2. დიზელის ძრავის გამონაბოლქვი.** | | | | | | | |
| 8.2.2.1. | გამონაბოლქვის სისტემის მართვის მოწყობილობა. | ვიზუალური შემოწმება. | | გამონაბოლქვის მართვის მოწყობილობა არ არის წარმოდგენილი ან დაზიანებულია. | | X | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.2.2.2. | კვამლიანობა | ა) გამონაბოლქვი აირების კვამლიანობა იზომება თავისუფალი აჩქარების ფაზაში (დატვირთვის გარეშე უქმი სვლიდან მაქსიმალურ ბრუნთა რიცხვამდე), როდესაც გადაცემათა კოლოფი ბერკეტი ნეიტრალურ მდგომარეობაშია, ხოლო გადაბმულობა ჩართულია;<br><br>ბ) სატრანსპორტო საშუალების წინასწარი მომზადება შემოწმებისთვის:<br><br>1. სატრანსპორტო საშუალების ინსპექტირება შესაძლებელია ჩატარდეს წინასწარი მომზადების გარეშე, თუმცა, მეტი სიზუსტისთვის უნდა შემოწმდეს, რომ ძრავა გახურებულია და დამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობაში იმყოფება.<br><br>2. ძრავა უნდა იყოს მთლიანად გახურებული, მაგალითად, ძრავაში | (ა) | მოთხოვნებში [1] მითითებული თარიღის შემდეგ პირველად რეგისტრირებული ან ექსპლუატაციაში შეყვანილი სატრანსპორტო საშუალებებისათვის კვამლიანობა აღემატება სატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის ფირფიტაზე მითითებულ დონეს.<br><br>**შენიშვნა:** ეს მოთხოვნები არ ვრცელდება 1980 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ ან ექსპლუატაციაში მყოფ სატრანსპორტო საშუალებებზე და იმ სატრანსპორტო საშუალებებზე ,რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია და რომელთა სარეგისტრაციო მოწმობაში სატრანსპორტო საშუალების გამოშვების წლის გრაფაში მითითებულია დაუდგენელი დრო (მაგ.: 0, -, ან სხვა სიმბოლო). | | X | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ზეთის ტემპერატურა არ უნდა იყოს 80°C ნაკლები, ხოლო მისი გაზომვა ხდება ზეთის დონის მაჩვენებელი საცეცით.<br>იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალების კონსტრუქცია ამ მეთოდებს არაპრაქტიკულს ხდის, ძრავას ნორმალური მუშა ტემპერატურის მიღწევა ხდება სხვა საშუალებებით, მაგალითად, ძრავას გამაგრილებელი ვენტილატორის მუშაობით.<br><br>3. გამონაბოლქვის სისტემა უნდა გაიწმინდოს თავისუფალი აჩქარების სამი ციკლის საშუალებით მაინც.<br><br>გ) ინსპექტირების პროცედურები: | (ბ) | თუ ეს ინფორმაცია არ იქნება ხელმისაწვდომი ან მოთხოვნები [1] არ იძლევა სტანდარტული სიდიდეების გამოყენების შესაძლებლობას, შთანთქმის კოეფიციენტის მნიშვნელობა აღემატება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის N510 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის „ე“ ქვეპუნქტში ზღვრულ მნიშვნელობებს.<br><br>შენიშვნა: ეს მოთხოვნები არ ვრცელდება 1980 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ ან ექსპლუატაციაში მყოფ სატრანსპორტო საშუალებებზე და იმ სატრანსპორტო საშუალებებზე რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია და რომელთა სარეგისტრაციო მოწმობაში სატრანსპორტო საშუალების გამოშვების წლის გრაფაში მითითებულია დაუდგენელი დრო (მაგ: 0, -, ან სხვა სიმბოლო). | | X | |
| | | 1. ძრავა და მასზე დამონტაჟებული ნებისმიერი ტურბოკომპრესორი უნდა იმყოფებოდეს უქმი სვლის რეჟიმში თავისუფალი აჩქარების თითოეული ციკლის დაწყებამდე. გასათვალისწინებელია, | (გ) | ხილული მოჭარბებული გამონაბოლქვი აირები:<br><br>კვამლის შეფერილობა – შავი ან ნაცრისფერი; კვამლის შეფერილობა – ლურჯი. | | X | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | რომ მაღალი სიმძლავრის დიზელის ძრავებისთვის დროსელის ფარის აშვებიდან 10 წამი მაინც უნდა დავიცადოთ.<br><br>2. თავისუფალი აჩქარების თითოეული ციკლის დაწყებისათვის უნდა მოხდეს საწვავის მიწოდების სატერფულის (აქსელერატორის) ბოლომდე დაჭერა სწრაფად და უწყვეტად<br><br>(ერთ წამზე ნაკლებ დროში), მაგრამ არა მკვეთრად, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მაღალი წნევის ტუმბოს მიერ საწვავის მაქსიმალური მიწოდება.<br><br>3. თავისუფალი აჩქარების თითოეული ციკლის განმავლობაში ძრავამ უნდა მიაღწიოს მაქსიმალურ ბრუნთა რიცხვს; ავტომატური გადაცემათა კოლოფის მქონე სატრანსპორტო საშუალებისთვის, მწარმოებლის მიერ განსაზღვრულ ბრუნთა რიცხვს; თუ მონაცემები არ | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | არის ხელმისაწვდომი, მონაცემების შემოწმება შეიძლება ძრავას ბრუნთა რიცხვზე დაკვირვებით აქსელერატორის სატერფულზე დაჭერასა და აშვებას შორის საკმარისი დროის გასვლის უზრუნველყოფით, რაც $M_2$, $M_3$, და $N_2$ $N_3$ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისათვის უნდა შეადგენდეს არანაკლებ 2 წამს.<br><br>4. სატრანსპორტო საშუალებები არ შეესაბამებიან დადგენილ მოთხოვნებს, თუ, სულ მცირე, ბოლო სამი თავისუფალი აჩქარების ციკლის საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობა გადააჭარბებს ზღვრულ მნიშვნელობას.<br><br>გაანგარიშებისას, იმ შემთხვევაში, თუ მონაცემი მნიშვნელოვნად განსხვავებულია სხვა სტატისტიკური მონაცემებისგან, ასეთი მონაცემის უგულებელყოფა შესაძლებელია. | | | | | |
| 8.3. გარემოსთან დაკავშირებული სხვა ელემენტები. | | | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.3.1. | სითხის გაჟონვა. | ვიზუალური შემოწმება. | | სითხის (გარდა წყლისა) ნებისმიერი გადაჭარბებული გაჟონვა რაც სავარაუდოდ ზიანს მიაყენებს გარემოს ან საფრთხეს შეუქმნის საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებს. | | X | |
| **9. მგზავრების გადამყვან M2 და M3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული დამატებითი ტესტირება.** | | | | | | | |
| **9.1. კარი.** | | | | | | | |
| 9.1.1. | შემავალი და გამომავალი კარი. | ვიზუალური შემოწმება და შემოწმება მუშა მდგომარეობაში. | | დეფექტური ოპერირება, რაც სავარაუდოდ გამოიწვევს ფიზიკურ დაშავებას. | | X | |
| 9.1.2. | ავარიული გასასვლელი. | ვიზუალური შემოწმება და შემოწმება მუშა მდგომარეობაში (საჭიროების შემთხვევაში). | (ა) | ავარიული გასასვლელების აღმნიშვნელი ნიშნები არ იკითხება; ავარიული გასასვლელების აღმნიშვნელი ნიშნები არ არის წარმოდგენილი. | X | | |
| | | | (ბ) | მინის გამტეხი ჩაქუჩი არ არის წარმოდგენილი. | X | | |
| | | | (გ) | გასასვლელი კარის ავარიული გაღების მექანიზმი არ მუშაობს ან არ არის წარმოდგენილი. | | X | |
| | | | (დ) | სალონში განთავსებულია დამატებითი მოწყობილობები, რომლებიც ზღუდავენ ავარიულ გასასვლელებთან თავისუფალ მიღწევას. | | X | |
| 9.2 | მგზავრების სავარძლები (თანმხლები პერსონალის სავარძლების ჩათვლით). | ვიზუალური შემოწმება. | (ა) | სავარძელი წარმოდგენილია გაუმართავ მდგომარეობაში ან არასაიმედოა. | | X | |
| | | | (ბ) | ავარიული გასასვლელი ბლოკირებულია. | | X | |
| 9.3. | გასასვლელები, ადგილები ფეხზე მდგომი მგზავრებისათვის. | ვიზუალური შემოწმება. | (ა) | არამყარი იატაკი. | | X | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | (ზ) | დეფექტური კოჭები ან სახელურები. | X | | |
| 9.4. | კიბე და საფეხურები. | ვიზუალური შემოწმება და შემოწმება მუშა მდგომარეობაში (საჭიროების შემთხვევაში). | | დაზიანებული მდგომარეობა. | | X | |

| | |
|---|---|
| (1) | 2012 წლის 1 იანვრამდე დამტკიცებული ნახევრად მისაბმელების 43%. |
| (2) | 48% იმ სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით, რომლებიც არ არის აღჭურვილი მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემით (ABS) ან რომლის ტიპი დამტკიცებულია 1991 წლის 1 ოქტომბრამდე. |
| (3) | 45% იმ სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით, რომლებიც რეგისტრირებულია 1988 წლის შემდეგ ან მოთხოვნებში მითითებული თარიღის შემდეგ, იმისდა მიხედვით, რომელიც უფრო გვიანდელია. |
| (4) | 43% იმ ნახევარმისაბმელებისა და გადაბმის მოწყობილობის მქონე მისაბმელებისათვის, რომლებიც რეგისტრირებულია 1988 წლის შემდეგ ან მოთხოვნებში მითითებული თარიღის შემდეგ, იმისდა მიხედვით რომელიც უფრო გვიანდელია. |
| *შენიშვნები:* | |
| 1 | მოთხოვნები წარმოდგენილია ტიპის დამტკიცებასთან დაკავშირებული მოთხოვნების სახით პირველი რეგისტრაციის თარიღისთვის ან როგორც ექსპლუატაციაში პირველად გაშვების, ასევე ვალდებულებების მოდიფიცირების თარიღისთვის, ან მარეგისტრირებელი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის თანახმად. გაუმართაობის მიზეზები მოქმედებს მხოლოდ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების შემთხვევაში. |
| 2 | არასაიმედო ცვლილება ნიშნავს ცვლილებას, რომელიც უარყოფითად აისახება სატრანსპორტო საშუალების საგზაო მოძრაობის გზის უსაფრთხოებაზე ან გააჩნია უარყოფითი გავლენა გარემოზე. |

*დანართი №4*

## ტვირთის ძარაზე დამაგრების წესების დაცვა

| N | დარღვევა | დარღვევის ხარისხი | | |
|---|---|---|---|---|
| | | I | II | III |
| | **სატრანსპორტო საშუალების სტაბილურობა** | | | |
| | **წინა კედელი** (ტვირთის დასამაგრებლად გამოყენების შემთხვევაში) | | | |
| 1. | დეტალების დაზიანება კოროზიული ცვეთის ან დეფორმაციის მიზეზით. | X | | |
| 2. | დეტალი გაბზარულია, რაც საფრთხეს უქმნის სატვირთო სათავსოს მთლიანობას. | | X | |
| | **გვერდითა კედლები** (ტვირთის დასამაგრებლად გამოყენების შემთხვევაში) | | | |
| 3. | დეტალების დაზიანება კოროზიული ცვეთის, დეფორმაციის, სახსრების ან საკეტების გაუმართავი მდგომარეობის მიზეზით. | | X | |
| 4. | დეტალი გაბზარულია; სახსრები ან საკეტები არაა წარმოდგენილი ან არ ფუნქციონირებს. | | | X |
| | **უკანა კედელი** (ტვირთის დასამაგრებლად გამოყენების შემთხვევაში) | | | |
| 5. | დეტალების დაზიანება კოროზიული ცვეთის ან დეფორმაციის მიზეზით. | X | | |
| 6. | დეტალი გაბზარულია, რაც საფრთხეს უქმნის სატვირთო სათავსოს მთლიანობას. | | X | |
| | **იატაკი** (ტვირთის დასამაგრებლად გამოყენების შემთხვევაში) | | | |
| 7. | არასაკმარისი მედეგობა, დაზიანება. | | X | |
| 8. | ვერ უძლებს ტვირთს. | | | X |
| | **აუცილებელი სპეციალური კონსტრუქციები** (ტვირთის დასამაგრებლად გამოყენების შემთხვევაში) | | | |
| 9. | დაზიანება. | X | | |
| 10. | ვერ გაუძლებს მიღებულ დატვირთვებს. | | X | |
| | **სამაგრი მოწყობილობები წინა მხარეს, გვერდებსა და უკანა მხარეს** | | | |
| 11. | არასაკმარისი დამაგრება; დაზიანებულია ტვირთის დამჭერი მოწყობილობები, არახელსაყრელი ან/და არაეფექტიანია. | X | | |
| 12. | არ არის წარმოდგენილი; | | X | |
| | **ტვირთების დაშორიშორება, ერთმანეთისგან დაცვა ან ცარიელი სივრცის შევსება** | | | |
| 13. | გამყოფი და შუასადები საშუალებების არახელსაყრელობა. | X | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14. | გადაჭარბებული დაშორება ან ცარიელი სივრცეები. | | X | |
| | **ნაყარი, ფხვიერი და მსუბუქი ტვირთების ტრანსპორტირება** | | | |
| 15. | გზაზე სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის დროს ნაყარი ტვირთის გაბნევამ შეიძლება შეაფერხოს საგზაო მოძრაობა. | X | | |

| N | დარღვევა | დარღვევის ხარისხი | | |
|---|---|---|---|---|
| | | I | II | III |
| 16. | ტვირთის გაბნევა საფრთხეს უქმნის სატრანსპორტო საშუალებებს და გარემოს. | | X | |
| | **ხე-ტყის მასალის (მორების) გადაზიდვა** | | | |
| 17. | მასალის (მორების) გადაზიდვა ნაწილობრივ მოშვებულ მდგომარეობაში, რაც საფრთხეს უქმნის სატრანსპორტო საშუალებებს და გარემოს. | | | X |

*დანართი №5*

**საერთაშორისო საავტომობილო გადაყვანასთან/გადაზიდვასთან დაკავშირებული შესაბამისი სანებართვო დოკუმენტის გამოყენების წესების დაცვა**

| N | დარღვევის ტიპი | დარღვევის ხარისხი | | |
|---|---|---|---|---|
| | | I | II | III |
| 1. | ტვირთის გადაზიდვა ან მგზავრების გადაყვანა სავალდებულო საწყისი კვალიფიკაციის ან/და სავალდებულო პერიოდული გადამზადების გარეშე. | | X | |
| 2. | მძღოლმა მატერიალური სახით ვერ წარმოადგინა კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოქმედი ბარათი ან მართვის მოწმობა შესაბამისი მარკირებით (სტატუსი: არ გააჩნია, დაზიანებულია (არ იკითხება მონაცემები), ვადაგასულია). | | X | |
| 3. | ტვირთის გადაზიდვა ან მგზავრების გადაყვანა შესაბამისი კატეგორიის მართვის უფლების გარეშე. | | | X |
| 4. | შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობის გამოყენება, რომელიც დაზიანებულია, არ იკითხება მონაცემები ან/და არ შეესაბამება საერთაშორისო რეგულაციებით დადგენილ სტანდარტებს. | | X | |
| | **საერთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანები** | | | |

| N | დარღვევის ტიპი | დარღვევის ხარისხი | | |
|---|---|---|---|---|
| | | I | II | III |
| 5. | საერთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანების განხორციელება ავტორიზაციის ბლანკის ან სანებართვო დოკუმენტის გარეშე (სტატუსი: არ გააჩნია, ჩამორთმეულია, ვადაგასულია). | | | X |
| 6. | საერთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანების განხორციელება შესაბამის ავტორიზაციის ბლანკზე ან სანებართვო დოკუმენტზე და მათზე თანდართული დამოწმებული დოკუმენტაციის (მოძრაობის განრიგი, ტარიფი, სამარშრუტო სქემა) გარეშე. | | X | |
| 7. | საერთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანების განრიგის დარღვევა (გარდა ობიექტური გარემოებებისა მათ შორის - ფორსმაჟორი, საგზაო მოძრაობასა და საბაჟო/სასაზღვრო პროცედურებთან დაკავშირებული შეფერხება და სხვა). | | X | |
| 8. | საერთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანებისთვის განკუთვნილი ავტორიზაციის ბლანკზე ან სანებართვო დოკუმენტზე და მათზე თანდართული დამოწმებული დოკუმენტაცია (მოძრაობის განრიგი, ტარიფი, სამარშრუტო სქემა) დაზიანებულია ან/და არ იკითხება შესაბამისი მონაცემები. | X | | |
| 9. | საერთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანებისთვის განკუთვნილი ავტორიზაციის ბლანკზე ან სანებართვო დოკუმენტზე და მათზე თანდართული დამოწმებული დოკუმენტაცია (მოძრაობის განრიგი, ტარიფი, სამარშრუტო სქემა) არ შეესაბამება შეთანხმებულ მარშრუტს. | | X | |
| 10. | გადამზიდველმა/მძღოლმა მატერიალური ან ელექტრონული სახით ვერ წარმოადგინა ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ: სარეგისტრაციო მოწმობა, იჯარის ხელშეკრულება, ლიზინგის ხელშეკრულება, მინდობილობა) ან/და მძღოლთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება (ან მისი ასლი). | | X | |
| 11. | საერთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანების განხორციელებისას ფიქსირდება კაბოტაჟი. | | | X |
| | **საერთაშორისო არარეგულარული სამგზავრო გადაყვანები** | | | |
| 12. | საერთაშორისო არარეგულარული სამგზავრო გადაყვანების განხორციელება სანებართვო დოკუმენტის გარეშე (სანებართვო დოკუმენტის არსებობის ვალდებულების შემთხვევაში) (სტატუსი: არ გააჩნია, ჩამორთმეულია, ვადაგასულია). | | | X |
| 13. | საერთაშორისო არარეგულარული სამგზავრო გადაყვანების განხორციელება საკონტროლო დოკუმენტის (მგზავრების სია) გარეშე. | | X | |

| N | დარღვევის ტიპი | დარღვევის ხარისხი | | |
|---|---|---|---|---|
| | | I | II | III |
| 14. | საკონტროლო დოკუმენტში აღნიშნული მგზავრების შემადგენლობა ან/და რაოდენობა არ ემთხვევა ავტოსატრანსპორტო საშუალებაში არსებულს ან/და საერთაშორისო არარეგულარული სამგზავრო გადაყვანებისთვის განკუთვნილი საკონტროლო დოკუმენტი (მგზავრების სია) კორექტირებულია (გარდა ობიექტური გარემოებებისა, მათ შორის - ფორსმაჟორი, საგზაო მოძრაობასა და საბაჟო/სასაზღვრო პროცედურებთან ასევე, მგზავრის ჯანმრთელობასთან და მგზავრის მიერ ჩადენილ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული შეფერხება და სხვა). | X | | |
| 15. | საერთაშორისო არარეგულარული სამგზავრო გადაყვანებისთვის განკუთვნილი ავტორიზაციის ბლანკი, სანებართვო დოკუმენტი ან/და საკონტროლო დოკუმენტი (მგზავრების სია) დაზიანებულია (არ იკითხება შესაბამისი მონაცემები). | X | | |
| 16. | გადამზიდველმა/მძღოლმა მატერიალური ან ელექტრონული სახით ვერ წარმოადგინა ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ.: სარეგისტრაციო მოწმობა, იჯარის ხელშეკრულება, ლიზინგის ხელშეკრულება, მინდობილობა) ან/და მძღოლთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება (ან მისი ასლი). | | X | |
| 17. | საერთაშორისო არარეგულარული სამგზავრო გადაყვანების განხორციელებისას ფიქსირდება კაბოტაჟი. | | | X |
| | **საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის სანებართვო დოკუმენტი** | | | |
| 18. | საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის განხორციელება სანებართვო დოკუმენტის გარეშე (სტატუსი: არ გააჩნია, ჩამორთმეული, ვადაგასული, გადაცემულია სხვა პირზე). | | | X |
| 19. | საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის სანებართვო დოკუმენტი დაზიანებულია (არ იკითხება მონაცემები). | X | | |
| 20. | საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვა არ შეესაბამება სანებართვო/სატრანსპორტო დოკუმენტებით გათვალისწინებულ სახეს. | | X | |
| 21. | გადამზიდველმა/მძღოლმა მატერიალური ან ელექტრონული სახით ვერ წარმოადგინა ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი (სარეგისტრაციო მოწმობა, იჯარის ხელშეკრულება, ლიზინგის ხელშეკრულება, მინდობილობა). | | X | |
| 22. | სანებართვო დოკუმენტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, გადამზიდველმა/მძღოლმა მატერიალური სახით ვერ | | X | |

| N | დარღვევის ტიპი | დარღვევის ხარისხი | | |
|---|---|---|---|---|
| | | I | II | III |
| | წარმოადგინა ავტოსატრანსპორტო საშუალების ეკოლოგიურობის სტანდარტის (EURO) დამადასტურებელი დოკუმენტი, ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის/მისაბმელი/ნახევარმისაბმელისთვის გათვალისწინებული გზისთვის ვარგისობის მოქმედი სერტიფიკატები ან/და მისაბმელის/ნახევარმისაბმელის ECMT-ის ტექნიკურ და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატი. | | | |
| 23. | ECMT მრავალმხრივი სანებართვო დოკუმენტით სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელებისას, გადამზიდველმა/მძღოლმა მატერიალური ან ელექტრონული სახით ვერ წარმოადგინა შესაბამისი სააღრიცხვო წიგნი. | | X | |
| 24. | ECMT მრავალმხრივი სანებართვო დოკუმენტით სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელებისას, გადამზიდველის/მძღოლის მიერ წარმოდგენილი სააღრიცხვო წიგნი დაზიანებულია, არ იკითხება შესაბამისი მონაცემები ან/და სააღრიცხვო წიგნი შევსებულია არასწორად. | X | | |
| 25. | ECMT მრავალმხრივი სანებართვო დოკუმენტით სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელებისას, გადამზიდველმა/მძღოლმა დაარღვია რეგისტრაციის ქვეყნიდან პირველი დატვირთული რეისის პირობა (A, I, GR) | X | | |
| 26. | ECMT მრავალმხრივი სანებართვო დოკუმენტით სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელებისას გადამზიდველმა/მძღოლმა დაარღვია ტერიტორიული შეზღუდვა (A,GR, I, RUS). | | X | |
| 27. | ECMT მრავალმხრივი სანებართვო დოკუმენტით სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელებისას, გადამზიდველმა/მძღოლმა დაარღვია რეგისტრაციის ქვეყნის გარეთ სამზე მეტი დატვირთული რეისის განხორციელების პირობა. | | X | |
| 28. | ECMT მრავალმხრივი სანებართვო დოკუმენტით სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელებისას, გადამზიდველს/მძღოლს სააღრიცხვო წიგნში უფიქსირდებათ ECMT კვოტის სისტემის არამონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელება (გარდა ტრანზიტული გადაადგილებისა). | | X | |
| 29. | ECMT მრავალმხრივი სანებართვო დოკუმენტით სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელებისას, გადამზიდველმა/მძღოლმა წარმოადგინა ლამინირებული ნებართვა და სააღრიცხვო წიგნი. | | X | |

| N | დარღვევის ტიპი | დარღვევის ხარისხი | | |
|---|---|---|---|---|
| | | I | II | III |
| 30. | საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის განხორციელებისას ფიქსირდება კაბოტაჟი. | | | X |

დანართი №6

## საკონტროლო მოწყობილობის (ტაქოგრაფის) და სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობის მონტაჟისა და კალიბრაციის წესების დაცვა

| N | დარღვევა | დარღვევის ხარისხი | | |
|---|---|---|---|---|
| | | I | II | III |
| | ტაქოგრაფის მონტაჟი და კალიბრაცია | | | |
| 1. | არ არის დამონტაჟებული ოფიციალურად დამტკიცებული ტიპის ტაქოგრაფი (მაგალითად, ტაქოგრაფი არ არის დამონტაჟებული წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოების მიერ დამტკიცებული მექანიკოსების, სახელოსნოების ან სატრანსპორტო საშუალებების მწარმოებლების მიერ). | | | X |
| 2. | ტაქოგრაფი არ არის სათანადოდ დაკალიბრებული და დალუქული. | | | X |
| 3. | დაყენების ან შემოწმების შესახებ მონაცემების ფირფიტის არარსებობა. | | | X |
| 4. | საბურავების ზომების ფაქტობრივი მნიშვნელობები განსხვავდება მონაცემების ფირფიტაზე მითითებული მნიშვნელობებისგან. | | | X |
| | სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობის მონტაჟი და კალიბრაცია | | | |
| 5. | არ არის დამონტაჟებული ოფიციალურად დამტკიცებული ტიპის სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობა (მაგალითად, სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობა არ არის დამონტაჟებული წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოების მიერ დამტკიცებული მექანიკოსების, | | | X |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სახელოსნოების ან სატრანსპორტო საშუალებების მწარმოებლების მიერ). | | | |
| 6. | სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობა არ არის სათანადოდ დაკალიბრებული და დალუქული. | | | X |
| 7. | დაყენების ან შემოწმების შესახებ მონაცემების ფირფიტის არარსებობა. | | | X |
| 8. | საბურავების ზომების ფაქტობრივი მნიშვნელობები განსხვავდება მონაცემების ფირფიტაზე მითითებული მნიშვნელობებისგან. | | | X |